ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს
სხდომის ოქმი №2

ქ. თბილისი 05.04.2016

სხდომას ესწრებოდნენ:

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში - საბჭო) წევრები:
ირინა აბულაძე - სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მოადგილე, საბჭოს თავმჯდომარე; (შემდგომში - თავმჯდომარე)
თამარ ფხალაძე - ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და სამართლის სკოლის წამყვანი სპეციალისტი, საბჭოს მდივანი; (შემდგომში - მდივანი)
გიორგი გიგიბერია - ა(ა)იპ - ფონდ „საერთაშორისო განათლების ცენტრის" პროგრამების მენეჯერი;
მარინა უშვერიძე - PH International სამოქალაქო განათლების პროგრამების ხელმძღვანელი;
ნინო კოდუა - სსიპ - ქალაქ თბილისის №55 საჯარო სკოლის ბიოლოგიის მასწავლებელი;
ქეთევან ჭკუასელი - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, პედაგოგიურ მეცნიერებათა დოქტორი.
ხათუნა ბარაბაძე - სსიპ - თბილისის პირველი ექსპერიმენტული სკოლის დირექტორი.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:
ლევან მადათოვი - შესაბამისობის შეფასებისა და მონიტორინგის სამმართველოს უფროსი;
ლალი შაიშმელაშვილი - ზოგადი განათლების განვითარების სპეციალისტი;
გიორგი მელიქაძე - განვითარების სამმართველოს კოორდინატორი;
ქეთევან ბექერი - საერთაშორისო აკრედიტაციისა და ავტორიზაციის სამმართველოს კოორდინატორი.

დაწესებულებების წარმომადგენლები:

შპს კავკასიის ბიზნესის სკოლის წარმომადგენლები:
რუსუდან გოგიბერიძე - დირექტორი;
მელორ მშვიდობაძე - დირექტორის მოადგილე.

შპს კერძო მრავალპროფილიანი საშუალო სკოლა პოლუსის წარმომადგენლები:
მარიამ რცხილაძე - დირექტორი;
ლიანა გოჩაშვილი - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი;
მარინა ბერძენიშვილი - დირექტორის მოადგილე სასწავლო დარგში.

ა(ა)იპ - ქ. ბაღდათის წმ. კეთილმსახური მეფე თამარის სახელობის მართლმადიდებელი სკოლა - გიმნაზიის წარმომადგენელი:
მერაბ კვირიკაშვილი - დირექტორი.

ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმინდა კეთილმსახური მეფე თამარის სახელობის სკოლა-პანსიონის წარმომადგენლები:
დეკანოზი მირიან (ნოდარ) სამხარაძე - დირექტორი;
მაყვალა (მარიამ) ანთაძე - ზოგადი განათლების მენეჯერი;
კახაბერ ვარდუკაძე - პროფესიული სწავლების მენეჯერი;
ნაზი თედორაძე - აღზრდისა და მასობრივი მუშაობის მენეჯერი;
მარინა გოგოლაძე - განათლების ხარისხის მართვის და საქმის წარმოების სამსახურის უფროსი.

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტები (შემდგომში- ექსპერტები):
ნინო ბალანჩივაძე;
ქეთევან ბოტკოველი;
ნინო ფეტვიაშვილი;
იანინა გიგიბერია;
ნელი ნასყიდაშვილი;
ლიანა ჩარკვიანი;
ეკატერინე გიგაშვილი;
მარიამ ხუციშვილი.

სხვა დამსწრე პირები:
საბა სარიშვილი - პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს წევრი.

თავმჯდომარემ გახსნა სხდომა 14:30 საათზე. თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრების რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 22-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მოახსენა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 23-ე მუხლის 1^2 პუნქტის საფუძველზე, სხდომას სათათბირო ხმის უფლებით ესწრებოდა პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს წევრი - საბა სარიშვილი.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი:

1. შპს ცოდნა-ნათელა მურადაშვილის მიერ ავტორიზაციის პირობების შესრულების მონიტორინგის საკითხის განხილვა;
2. ა(ა)იპ - თბილისის თავისუფალი ვალდორფის სკოლა-ბაღის მიერ ავტორიზაციის პირობების შესრულების მონიტორინგის საკითხის განხილვა;
3. შპს კავკასიის ბიზნესის სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
4. შპს კერძო მრავალპროფილიანი საშუალო სკოლა პოლუსის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
5. ა(ა)იპ - ქ. ბაღდათის წმ. კეთილმსახური მეფე თამარის სახელობის მართმადიდებელი სკოლა-გიმნაზიის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
6. ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა კეთილმსახური მეფე თამარის სახელობის სკოლა-პანსიონის ავტორიზაციის საკითხის განხილვა.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს მიმართა, დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა.

ცენტრის წარმომადგენელმა, ლევან მადათოვმა შუამდგომლობა დააყენა შპს ცოდნა - ნათელა მურადაშვილისა და ა(ა)იპ - თბილისის თავისუფალი ვალდორფის სკოლა-ბაღის ავტორიზაციის პირობების შესრულების მონიტორინგის საკითხების გადადებაზე. აღნიშნულმა დაწესებულებებმა ცენტრში წარმოადგინეს წერილები (ცენტრში რეგისტრაციის №333383; №328870), საკითხების გადადების მოთხოვნით.

ლევან მადათოვმა საბჭოს წევრებს ასევე აცნობა, რომ ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა კეთილმსახური მეფე თამარის სახელობის სკოლა-პანსიონი მისი საკითხის განხილვას ითხოვდა რიგით მეორე საკითხად.

საბჭოს წევრებმა გაიზიარეს წარმოდგენილი შუამდგომლობები და ერთხმად დაამტკიცეს სხდომის დღის წესრიგი განახლებული სახით.

სხდომის ახალი დღის წესრიგი:

1. შპს კავკასიის ბიზნესის სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
2. ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა კეთილმსახური მეფე თამარის სახელობის სკოლა-პანსიონის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
3. შპს კერძო მრავალპროფილიანი საშუალო სკოლა პოლუსის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
4. ა(ა)იპ - ქ. ბაღდათის წმ. კეთილმსახური მეფე თამარის სახელობის მართმადიდებელი სკოლა-გიმნაზიის ავტორიზაციის საკითხის განხილვა.

1. შპს კავკასიის ბიზნესის სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ თვითშეფასების კითხვარსა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა მდივანს, რომ თვითშეფასების კითხვარი და დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს წინაშე წარადგინეს ნინო ბალანჩივაძემ და ქეთევან ბოტკოველმა. დაწესებულებას სხდომაზე წარმოადგენდნენ სკოლის დირექტორი, რუსუდან გოგიბერიძე და დირექტორის მოადგილე, მელორ მშვიდობაძე.

ექსპერტებმა საბჭოს წარუდგინეს დასკვნაში ასახული გარემოებები:
ექსპერტის განცხადებით, სკოლა ფუნქციონირებდა 5 შენობა-ნაგებობაში, საერთო ფართით 795 კვ. მ. ყველა შენობა იყო იზოლირებული, საკუთარი საკლასო ოთახებით. ასევე სკოლას ჰქონდა ერთი საკლასო ოთახი ინდივიდუალური სწავლებისათვის. ხარვეზად შეიძლებოდა ჩათვლილიყო ის, რომ სკოლის ერთ-ერთ შენობაში განთავსებული იყო საბავშვო ბაღი, რომელიც არ იყო გამიჯნული სასკოლო სასწავლო პროცესისგან, თუმცა ეს ხარვეზი ვიზიტის დროს გამოსწორდა. მიუხედავად იმისა, რომ სკოლასა და ბაღს ერთი შესასვლელი ჰქონდა, შიდა ბრძანებით, ეს ორი სივრცე ერთმანეთისგან გაიმიჯნა.

ექსპერტებმა აღნიშნეს, რომ ვიზიტის დროს დაწესებულების ავტორიზაციის ვადა უკვე ამოწურული იყო. დაწესებულებას სექტემბრის თვეში ცენტრში ჰქონდა შემოტანილი განაცხადი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის გაზრდაზე, მას შემდეგ, რაც სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მონაცემების მიხედვით, აღმოჩნდა, რომ დაწესებულებას 6 მოსწავლით ჰქონდა გადაჭარბება. საბჭოს წევრის, ხათუნა ბარაბაძის განმარტებით, შესაბამისად ზემოაღნიშნული დარღვევის გამომ, საბჭომ უარი უთხრა დაწესებულებას კონტინგენტის გაზრდაზე, ამასთან სკოლა ინფორმირებული იყო რომ 2016 წლის 25 იანვარს იწურებოდა ავტორიზაციის ვადა და დადგენილ ვადებში უნდა მიემართა ცენტრისათვის საავტორიზაციო განაცხადით. ნინო ბალანჩივაძემ განაცხადა, რომ დაწესებულებამ 2016 წლის 29 იანვარს მიიღო წერილი ცენტრისგან, რომ ამოეწურა ავტორიზაციის ვადა და მოსწავლეები უნდა გადასულიყვნენ სხვა სკოლაში. ამ ეტაპზე დაწესებულებას შემოტანილი ჰქონდა ახალი საავტორიზაციო განაცხადი, როგორც ახალ სუბიექტს. ლევან მადათოვმა აღნიშნა, რომ დაწესებულებამ საავტორიზაციო განაცხადი 2016 წლის 18 იანვარს შემოიტანა. სკოლისთვის ავტორიზაციის ვადის გასვლის შესახებ ცენტრმა ასევე აცნობა სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემასაც.

ექსპერტის, ქეთევან ბოტკოველის განმარტებით, სკოლამ ვერ შეძლო მოსწავლეების გადაყვანის უზრუნველყოფა, რადგან მათი თქმით, ბაზები დაკეტილი იყო. საბჭოს წევრის, ხათუნა ბარაბაძის თქმით, ბაზები ყოველთვის ღიაა, მითუმეტეს როდესაც სკოლა ვაუჩერს არ იღებდა. ექსპერტებმა სკოლა შეამოწმეს, როგორც ახალი სუბიექტი, თუმცა, რადგან სასწავლო პროცესი მიმდინარეობდა, ექსპერტებმა დაგეგმეს ინტერვიუები, მასწავლებლებთან, მშობლებთან და მოსწავლეებთან. ინტერვიუების შედეგები საკმაოდ კარგი იყო. სკოლაში

არსებობდა სხვადასხვა სახის პრაქტიკები: გაკვეთილებზე ურთიერთდასწრება, მასწავლებლები იყვნენ სქემაში ჩართულები და აქტიური კომუნიკაცია ჰქონდათ მშობლებთან. სკოლას ჰქონდა ერთადერთი ხარვეზი, რომელიც უკავშირდებოდა ადაპტირებულ სველ წერტილს, თუმცა ვიზიტის დროს დაიწყო აღნიშნულის მშენებლობა და დაწესებულების წარმომადგენლებს უნდა წარმოედგინათ ფოტოები აღნიშნულის დასადასტურებლად. ასევე პრობლემური იყო ლაბორატორიის აღჭურვილობა. დაწესებულებას ჰქონდა სტანდარტებით განსაზღვრული ლაბორატორიის აღჭურვილობის დაახლოებით 80%.

საბჭოს თავმჯდომარე, ირინა აბულაძე, დაინტერესდა, გაითვალისწინა თუ არა დაწესებულებამ საბჭოს რეკომენდაციები კონტიგენტის გაზრდაზე უარის თქმის შემდეგ. დაწესებულების წარმომადგენლების განმარტებით, ისინი ყოველთვის განიხილავდნენ ყველა რეკომენდაციას. რაც შეეხება კონტინგენტის გადაჭარბებას, ამისთვის არსებობდა მონაცემთა ბაზები (EMIS), სადაც ყველაფერი ჩანდა, თუმცა რეაქცია მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის გადაჭარბების შესახებ არ ყოფილა. საბჭოს წევრის ხათუნა ბარაბაძის განმარტებით, საბჭომ არ მიიღო ავტორიზაციის გაუქმების გადაწყვეტილება, რადგან ბაზის მიხედვით შეუძლებელი იყო კონტინგენტის გადაჭარბების გაკონტროლება. დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით, არსებობდა ასევე მეორე გარემოება კონტინგენტის გადაჭარბებასთან დაკავშირებით. დაწესებულებამ მაშინვე უზრუნველყო 6 ბავშვის სხვა სკოლაში გადაყვანა, როგორც კი მიიღეს წერილი გადაჭარბების შესახებ. ასევე სკოლამ აღნიშნული საკითხი განიხილა მასწავლებლებთან და მშობლებთან ერთად კრებაზე. საბჭოს წევრი, ხათუნა ბარაბაძე დაინტერესდა, არსებობდა თუ არა ზემოთაღნიშნული შეხვედრების ოქმები. ექსპერტის, ნინო ბალანჩივაძის განმარტებით, მათ სხდომის ოქმები არ უნახავთ, თუმცა მშობლებთან ინტერვიურებით დასტურდებოდა, რომ მშობლებს ინფორმაცია ჰქონდათ აღნიშნულის შესახებ, მაგრამ მიუხედავად ამისა, არ სურდათ ბავშვების სხვა სკოლაში გადაყვანა. ექსპერტის, ქეთევან ბოტკოველის განმარტებით, ექსპერტებმა კავკასიის ბიზნესის სკოლა განიხილეს, როგორც ახალი სუბიექტი, ამიტომაც არ ჩათვალეს საჭიროდ, მსგავს საკითხებს უფრო მეტად ჩაღრმავებოდნენ. დაწესებულების წარმომადგენლების განმარტებით, მათ მყისიერი რეაქცია ჰქონდათ კონტინგენტის გადაჭარბებაზე და 6 მოსწავლე გადაიყვანეს სხვა სკოლებში. თუმცა, ვინაიდან რეგიონში სკოლები ძალიან გადატვირთული იყო, შეუძლებელი იყო 250 მოსწავლის გადაყვანის უზრუნველყოფა.

საბჭოს თავმდჯდომარე ირინა აბულაძე დაინტერესდა, როდის გადავიდა 6 მოსწავლე სკოლიდან. დაწესებულების წარმომადგენლების განმარტებით, საბჭოს სხდომის ჩატარებიდან ერთ კვირაში, სკოლამ შეძლო მოსწავლეების გადაყვანა. საბჭოს წევრები დაინტერესდნენ ლაბორატორიის აღჭურვილობით. დაწესებულებამ წარმოადგინა შესყიდვების აქტები ლაბორატორიასთან დაკავშირებით. რაც შეეხება, საბავშვო ბაღს, როგორც ექსპერტებმა აღნიშნეს, ბაღი გაიმიჯნა სკოლისგან ცალკე ასასვლელი კიბით, თუმცა შენობის შესასვლელი ერთი დარჩა. დაწესებულების განმარტებით, ბაღს ყოველ წელს ამოწმებდა ბათუმის მერიის ზედამხედველობის სამსახური. საბჭოს თავმჯდომარე, ირინა აბულაძე დაინტერესდა, იყო თუ არა ეზო საერთო ბაღისა და სკოლისათვის, თუმცა ექსპერტების განმარტებით, სკოლის ეზო საკმაოდ დიდი იყო და იძლეოდა იმის საშუალებას, რომ სკოლისა და ბაღის მოსწავლეებს ერთ ეზოში ჰქონოდათ შესვენების გატარების უფლება. ამას გარდა, ბაღის მოსწავლეებს ყოველთვის ჰყავდათ მეთვალყურე ეზოში გასვლისას.

საბჭოს წევრმა, ხათუნა ბარაბაძემ ყურადღება გაამახვილა რამოდენიმე საკითხზე, რომელიც სკოლას ეხებოდა. საბჭოს უწევდა თვალის დახუჭვა იმ ფაქტზე, რომ სკოლა

ფასდებოდა, როგორც ახალი სუბიექტი. მშობელს არ ჰქონდა უფლება, საბაზო განათლება არ მიეცა ბავშვისთვის. აღნიშნული სკოლის მოსწავლეები რამოდენიმე თვის განმავლობაში რეალურად არც ერთ სკოლაში არ ირიცხებოდნენ, რისთვისაც სკოლას სჭირდებოდა აუცილებლად მშობლის ნებართვა. ექსპერტების კომპეტენციაში ეს არ შედიოდა, რადგან ისინი სკოლას ამოწმებდნენ, როგორც ახალ სუბიექტს. თუმცა სკოლას უნდა ჰქონოდა, 25 იანვრის შემდეგ გაფორმებული ხელშეკრულება, რის მიხედვითაც მშობლები თანახმა იქნებოდნენ, არ გადაეყვანათ მათი შვილები სხვა სკოლაში მიუხედავად ავტორიზაციის ვადის გასვლისა.

საბჭოს წევრები დაინტერესდნენ იმით, თუ რამდენად იყო დაცული ბაღისა და სკოლის მოსწავლეების უსაფრთხოება, რადგან ორივე დაწესებულებას ერთი ეზო ჰქონდა. დაწესებულების წარმომადგენლების განცხადებით, ბაღის მოსწავლეებს ყოველთვის დაყვებოდნენ აღმზრდელები ეზოში, შესაბამისად მათი უსაფრთხოება დაცული იყო. სკოლას ჯამში ჰყავდა 44 მასწავლებელი, სულ 67 დასაქმებული ადმინისტრაციის ჩათვლით. სკოლის ლაბორატორიის აღჭურვილობის შეძენასთან დაკავშირებით, ხელშეკრულება გაფორმებული იყო 1 აპრილს, რომლის თანახმადაც დაწესებულებას 3 დღეში უნდა მიეღო ხელშეკურლებაში მითითებული აღჭურვილობა. საბჭოს თავმჯდომარე, ირინა აბულაძე დაინტერესდა, მიიღო თუ არა სკოლამ აღნიშნული აღჭურვილობა. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა შესყიდული პროდუქციის მიღება.

თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულებას და ასევე სთხოვა ექსპერტებს დაედასტურებინათ ავტორიზაციის მიღების შემთხვევაში რამდენი მოსწავლისათვის შეეძლო სკოლას მომსახურების გაწევა. დაწესებულებამ აღნიშნა, რომ შეეძლო 300 ზე მეტი მოსწავლის მიღება, ექსპერტებმა დაადასტურეს ზემოაღნიშნული.

საბჭომ იმსჯელა და დაადგინა, რომ დაწესებულებას შესაბამისი საგანმანათლებლო გარემოს შექმნა შეეძლო 270 მოსწავლისათვის.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს კავკასიის ბიზნეს სკოლისთვის ავტორიზაციის მინიჭებისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 270-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 7
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის 99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 24-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის შესაბამისად, შპს კავკასიის ბიზნესის სკოლას (ს/კ: 445386546) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურების საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნით და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 270 -ით.

2. ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა კეთილმსახური მეფე თამარის სახელობის სკოლა-პანსიონის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ თვითშეფასების კითხვარებსა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნებს. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნებს. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნებს. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა მდივანს, რომ თვითშეფასების კითხვარები და დასკვნები დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნები საბჭოს წინაშე წარადგინეს ნინო ბალანჩივაძემ და მარიამ ხუციშვილმა. სკოლა ასევე ახორციელებდა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს, რომლის ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობა ეკატერინე გიგაშვილის მიერ იქნა შემოწმებული და დასკვნა წარმოდგენილი საბჭოს სხდომაზე.

პირველ რიგში ექსპერტებმა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების დასკვნა წარადგინეს საბჭოს წინაშე. დაწესებულება ეწეოდა საპანსიონო მომსახურებას, 130 ბავშვი ცხოვრობდა პანსიონში. დაწესებულება ემსახურებოდა, როგორც საქართველოს სხვადასხვა რაიონიდან (საქართველოს მაღალმთიანი რაიონებიდან /1999 წლის 8 ივნისის საქართველოს კანონის „მაღალმთიანი რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული განვითარების შესახებ" - სოფლების, თემების, დაბების ჩამონათვალის შესაბამისად/ ჩამოსული ბავშვები, ეკომიგრანტთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა შვილები, აგრეთვე საქართველოს სხვა რეგიონებში მცხოვრები მზრუნველობამოკლებული ბავშვებს), ისე უცხოეთიდან (ირანიდან /ფერეიდანი, მაზანდარი/, თურქეთიდან /ტაო-კლარჯეთი, ლაზეთი/, აზერბაიჯანიდან /საინგილო/) ჩამოსულ ხელოვნების განსაკუთრებული ნიჭით დაჯილდოებულ მოსწავლეებს, რომლებსაც სწავლების პარალელურად სთავაზობდა სადღეღამისო საცხოვრებელს.

სკოლა-პანსიონის საგანმანათლებლო სტრუქტურული ქვედანაყოფები იყო:

სახელოვნებო მიმართულება: ფორტეპიანო, საორკესტრო, ხალხური საკრაავები,ხალხური, საგუნდო და საეკლესიო გალობა;

სახელობო მიმართულება: ხალხური რეწვა - სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება,ფერწერა, ხატვა, ხატწერა, ქსოვა,ქარგვა, ტანსაცმლის დიზაინი, გობელინი, თექა, მინანქარი, ხის დამუშავება, ხეზე კვეთა, კერამიკა, ქვაზე კვეთა, ლითონის ნაკეთობათა დამამუშავებელი ჭედურობა, ვერცხლზე მუშაობა, ოქრომჭედლობა.

სკოლაში დღის მეორე ნახევარში ხორციელდებოდა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები. ექსპერტებს ვიზიტის დროს რაიმე მნიშვნელოვანი ხარვეზი არ დაუფიქსირებიათ. მხოლოდ ინტერვიურების დროს აღმოჩნდა, რომ მეოთხე კლასში ძველ ქართულში ნიშანი იწერებოდა, სასკოლო საათობრივი ბადის გაცნობით კი დადგინდა, რომ აღნიშნული საგანი ისწავლებოდა არა IV-VI კლასებში, არამედ V-VII კლასებში. აქედან გამომდინარე მათი განმსაზრვრელი შეფასება გამართლებული იყო. ამიტომ IV კლასში აღნიშნული საგნის სწავლება და მოსწავლეთა განმსაზღვრელი შეფასება შეიძლებოდა ჩათვლილიყო ტექნიკურ ხარვეზად.

ექსპერტთა თქმით, სკოლის წარმომადგენელთან ინტერვიურებისას დადგინდა, რომ სკოლა დამატებითი მომსახურებით მოსწავლეებს სთავაზობდა სხვადასხვა წრეობრივ მომსახურებას: ჭადრაკს, ქართული ორთაბრძოლის ხელოვნებას - ხრიდოლს, ინგლისურსა და რუსულს, რაც სასკოლო სასწავლო გეგმაში არ ფიქსირდებოდა. აღნიშნული ხარვეზი აღმოიფხვრა ექსპერტთა ვიზიტის დროს.

საბჭოს წევრი, ხათუნა ბარაბაძე დაინტერესდა, იყვნენ თუ არა პედაგოგები პროფესიული განვითარების სქემაში ჩართულები. დაწესებულების განცხადებით, მასწავლებლები ჩართულები იყვნენ სქემაში.

ექსპერტის, მარიამ ხუციშვილის, განცხადებით სკოლას ასევე არ ჰქონდა ლაბორატორიის აღჭურვილობა სრულად. დაწესებულების დირექტორმა წარმოადგინა დამადასტურებელი მასალა, იმისა რომ ლაბორატორიული აღჭურვილობა შეიძინა. აღნიშნული აღჭურვილობის შეძენა მოხდა კერძო პირის (სკოლის დირექტორის) მიერ ინტერნეტის საშუალებით. შესაბამისად, დაწესებულებამ წარმოადგინა ე.წ. ვებგვერდის მისამართები საიდანაც შეიძინა სასურველი აღჭურვილობა. დაწესებულებამ ლაბორატორიის ამ გზით შეძენა გადაწყვიტა ფასების ხელმისაწვდომობის გამო. თუმცა, ექსპერტების განცხადებით, ის ნაწილი აღჭურვილობისა, რაც სკოლას ვიზიტის დროს არ ჰქონდა, ხელს არ შეუშლიდა სასწავლო პროცესის დროს ლაბორატორიის გამოყენებას.

რაც შეეხება, დაწესებულების პროფესიულ საგანმანათლებლო ნაწილს, აღნიშნულის შესახებ დასკვნა წარადგინა ექსპერტმა, ეკატერინე გიგაშვილმა. მისი განცხადებით, კოლეჯის მიერ წარმოდგენილი იყო მესამე საფეხურის ოთხი პროგრამა: ხის მხატვრული დამუშავების სპეციალისტის, სამკერვალო ნაწარმის სპეციალისტის, თექის ხელოსნის, მემინანქრის პროგრამები. პროფესიულ ნაწილში დაწესებულებას ხარვეზები არ ჰქონია. ექსპერტებს ასევე ჰქონდათ საშუალება, ენახათ სტუდენტების მიერ მომზადებული ხელნაკეთი ნივთები და მინანქრით შესრულებული სხვადასხვა ნაკეთობები. პროფესიული მიმართულებით დაწესებულებას ჰყავდა 37 სტუდენტი და 8 მასწავლებელი.

საბჭოს წევრი, ქეთევან ჭკუასელი დაინტერესდა, ჰყავდა თუ არა დაწესებულებას გარედან მოსული სტუდენტები, თუ ძირითად კონტიგენტს შეადგენდა ამავე დაწესებულების მოსწავლეები. დაწესებულების წარმომადგენლების განცხადებით, მათ ჰყავდათ გარედან მოსული სტუდენტებიც და ასევე ის მოსწავლეები, რომლებიც იქვე იღებდნენ ზოგად განათლებას. სკოლას ასევე დამატებით ჰქონდა სპეციალური მოსამზადებელი კურსები მათთვის ვისაც პროფესიული განათლების მიღება სურდა. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების საბჭოს წევრი, საბა სარიშვილი დაინტერესდა, ჰქონდა თუ არა დაწესებულებას მემორანდუმები გაფორმებული რომელიმე საწარმოსთან. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაასახელეს შპს ელსელემა, როგორც ერთ-ერთი მაგალითი, სადაც პროფესიულ სტუდენტებს ჰქონდათ პრაქტიკის გავლის შესაძლებლობა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბა სარიშვილს, ხომ არ ჰქონდა დამატებით კითხვები ან კომენტარები. საბა სარიშვილი დაინტერესდა, იყო თუ არა დაწესებულებაში ადაპტირებული გარემო. ექსპერტის განცხადებით, შენობა მთლიანად ადაპტირებული იყო სპეციალური საჭიროების მქონე სტუდენტებისათვის. პროფესიული და ზოგადსაგანმანათლებლო სწავლებისთვის გამოყოფილი ფართი არ იყო ერთმანეთისგან გამიჯნული, თუმცა არსებობდა ცალკე შენობა პრაქტიკული სამუშაოებისათვის. ხოლო სკოლის შენობაში ორ ცვლაში მიმდინარეობდა გაკვეთილები, ამიტომ არ საჭიროებდა შენობა პროფესიულისა და ზოგადი მიმართულების გამიჯვნას.

საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაწესებულებას, წარმოედგინა შუამდგომლობა, ავტორიზაციის მიღების შემთხვევაში რამდენი მოსწავლისთვის და პროფესიული სტუდენტისთვის შეეძლო შესაბამისი საგანმანათლებლო გარემოს შექმნა. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ სკოლას შესაბამისი საგანმანათლებლო გარემოს შექმნა შეეძლო 800 მოსწავლისთვის, მათ შორის 100 პროფესიული სტუდენტისთვის. ექსპერტები დაეთანხმნენ აღნიშნულ შუამდგომლობებს.

ორივე დასკვნის განხილვის შემდგომ, საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა კეთილმსახური მეფე თამარის სახელობის სკოლა-პანსიონისათვის ავტორიზაციის მინიჭებისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 800-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 7
წინააღმდეგი: 0

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა კეთილმსახური მეფე თამარის სახელობის სკოლა-პანსიონისათვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილების მინიჭებისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობიდან პროფესიული სტუდენტების ადგილების ზღვრული რაოდენობის 100-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 7
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის 99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" მე-13 მუხლისა და 24-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის შესაბამისად, ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა კეთილმსახური მეფე თამარის სახელობის სკოლა-პანსიონს (ს/კ: 200273088) 2016 წლის 11 აპრილიდან 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი (დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურები) და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილება.

ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა კეთილმსახური მეფე თამარის სახელობის სკოლა-პანსიონს მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 800-ით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობიდან პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 100-ით.

3. შპს კერძო მრავალპროფილიანი საშუალო სკოლა პოლუსის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ თვითშეფასების კითხვარსა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა მდივანს, რომ თვითშეფასების კითხვარი და დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს წინაშე წარადგინეს ნინო ფეტვიაშვილმა და იანინა გიგიბერიამ.

1. საგანმანათლებლო პროგრამებთან მიმართებით:

1.1 სასკოლო სასწავლო გეგმაში, პირველ ნაწილში ხარვეზი არ დაფიქსირებულა. მხოლოდ 2015 წლის 7 სექტემბრის 118 ბრძანებაში ასახული ცვლილება არ იყო გათვალისწინებული, რომლის თანახმადაც, „სადამრიგებლო საათის ფარგლებში სადამრიგებელო მიმართულებებს დაემატა მეწარმეობის უნარების განვითარება. სკოლის წარმომადგენლებმა ადგილზე წარმოადგინეს კათედრის ოქმები და ჩანაწერები, სადაც ამ ცვლილების შეტანა იყო გათვალისწინებული. ვიზიტის დროს დირექტორმა 2016 წლის 15 მარტის N 1-10 ბრძანებით დაამტკიცა 2015-2016 სასწავლო წლის დაზუსტებულ სადამრიგებლო პროგრამაში ცვლილების შეტანა.

2. მატერიალურ რესურსებთან მიმართებით:

2.1 სკოლას შემუშავებული ჰქონდა 2015-2016 სასწავლო წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა, რომელიც მოიცავდა არსებული ადამიანური და მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენების გზით სასწავლო წლის მანძილზე დასახული საგანმანათლებლო მიზნების შესრულებას. გრძელვადიანი (ექვსწლიანი) გეგმა დაწესებულებას არ წარმოუდგენია. ელექტრონულად და ადგილზეც წარმოდგენილი იყო მხოლოდ მოკლევადიანი და გრძელვადიანი პრიორიტეტები, სადაც ზოგადად იყო აღწერილი შემდგომი ნაბიჯები. მაგალითად, გრძელვადიანი პრიორიტეტები იყო: კონკურენტუნარიანი გარემოს შექმნა და საგანმანათლებლო რესურსების ეფექტური გამოყენება, რაც გულისხმობდა სკოლის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მუდმივ განახლებას; ელექტრონული ჟურნალების დანერგვას; სპორტული-საცურაო აუზის მშენებლობას; პარტნიორული პროგრამების ამოქმედებას; ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებისათვის ზრუნვას; სამოქალაქო განათლების კულტურის განვითარებაა; მასწავლებელთა პროფესიული ზრდის ხელშეწყობასა და მათ მატერიალურ კეთილდღეობაზე ზრუნვას.

ცენტრალურ შესასვლელში დამონტაჟებული იყო 2 ვიდეოკამერა, რომელთა განთავსების ადგილი არ შეესაბამებოდა საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 29 აგვისტოს №1143 ბრძანებით განსაზღვრულ ვიდეო მეთვალყურეობის საისტემებისა და მათი დამონტაჟება-ექსპლუატაციის წესებს.

3. ადამიანურ რესურსებთან მიმართებით:

3.1 სკოლას ჰყავდა 2015-2016 სასწავლო წლის სასკოლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი ადამიანური რესურსი. სკოლას ემსახურებოდა 32 პედაგოგი. დაწყებითი კლასებისათვის მუშაობდა 2 გახანგრძლივებული დღის სწავლების ჯგუფი, რომელსაც 2 პედაგოგი ემსახურებოდა. 11 იყო ადმინისტრაციის დამხმარე პერსონალი: ექიმი, ბიბლიოთეკარი, ისტ მენეჯერი, 2 მანდატური, 2 ღამის დარაჯი, 1 ზედამხედველი და 3 დამლაგებელი. ვიზიტის დროს რამდენიმე მასწავლებლის პირადი საქმე სრულად არ იყო წარმოდგენილი, თუმცა მათი შევსება მოხდა ვიზიტის მიმდინარეობისას.

საბჭოს წევრმა ხათუნა ბარაბაძემ ინფორმაციის დაზუსტების მიზნით, იკითხა, წარმოადგინა თუ არა დაწესებულებამ 118 ბრძანებაში შეტანილი ცვლილებების ასახვა. ექსპერტის ნინო ფეტვიაშვილის განცხადებით, ცვლილება ასახული იყო, თუმცა დოკუმენტურად სასკოლო სასწავლო გეგმაში არ იყო შეტანილი ეს ინფორმაცია, მაგრამ სადამრიგებლო პროგრამაში და პორტფოლიოებში ეს ასახული იყო.

ექსპერტთა განმარტებით, სკოლას ამჟამად ჰყავდა 443 მოსწავლე. ჰქონდა 3 კაბინეტი გამოყოფილი ლაბორატორიებისათვის, რომელიც სრულად აკმაყოფილებდა სტანდარტებით მოთხოვნილ კრიტერიუმებს. დაწესებულებამ ასევე წარმოადგინა დამადასტურებელი დოკუმენტაცია ახალი კამერების დამონტაჟების შესახებ, რომლებიც უზრუნველყოფდნენ გარე პერიმეტრის კონტროლს.

საბჭოს თავმჯდომარემ, ირინა აბულაძემ იკითხა, ხომ არ სურდა მეორე ექსპერტს რამის დამატება. იანინა გიგიბერიას თქმით, აღსანიშნავი იყო, ის რომ სკოლაში ურთიერთთანამშრომლობის ხარისხი ძალიან მაღალი იყო, რაც ასევე მოსწავლეებთან ინტერვიურებითაც გამოვლინდა. სკოლას ჰქონდა კეთილგანწყობილი და უსაფრთხო გარემო მოსწავლეებისათვის.

თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაწესებულებას, წარმოედგინა შუამდგომლობა რამდენი მოსწავლისათვის შეეძლო სათანადო საგანმანათლებლო გარემოს შექმნა. დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ შესაბამისი საგანმანათლებლო გარემოს შექმნა შეეძლო 346 მოსწავლისათვის. აღნიშნული შუამდგომლობა გაიზიარეს ავტორიზაციის ექსპერტებმაც.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს მრავალპროფილიანი საშუალო სკოლა პოლუსისთვის ავტორიზაციის მინიჭებისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 346-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 7

წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:

,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის 99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 24-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის შესაბამისად, შპს კერძო მრავალპროფილიან საშუალო სკოლა პოლუსს (ს/კ: 406040243) 2016 წლის 11 აპრილიდან 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურების საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნით და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 346-ით.

4. ა(ა)იპ - ქ. ბაღდათის წმ. კეთილმსახური მეფე თამარის სახელობის მართლმადიდებელი სკოლა-გიმნაზიის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ თვითშეფასების კითხვარსა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა მდივანს, რომ თვითშეფასების კითხვარი და დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს წინაშე წარადგინეს ნელი ნასყიდაშვილმა და ლიანა ჩარკვიანმა.

ექსპერტთა განმარტებით, აღნიშნული დაწესებულება იყო ახალი სუბიექტი და აპირებდა მხოლოდ დაწყებითი საფეხურის სწავლების განხორციელებას ავტორიზაციის მინიჭების შემთხვევაში. ექსპერტმა, ნელი ნასყიდაშვილმა ყურადღება გაამახვილა დასკვნაში დაფიქსირებულ შემდეგ ხარვეზებზე.

1. მატერიალურ რესურსთან მიმართებით:

1.1 სკოლას არ ჰქონდა სპორტული დარბაზი. სკოლა-გიმნაზიას 2016 წლის 4 მარტს გაფორმებული ჰქონდა ხელშეკრულება ბაღდათის სპორტულ სკოლასთან, რომლის მიხედვითაც სკოლას შეეძლო სპორტის გაკვეთილების ჩასატარებლად სპორტული დარბაზის დაქირავება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ანაზღაურების (ყოველ სასწავლო დღეზე 2 ლარი) სანაცვლოდ. ხელშეკრულება ძალაში იქნებოდა მისი ხელმოწერის დღიდან და ავტორიზაციის მიღებიდან ერთი სასწავლო წლის განმავლობაში.

საბჭოს წევრი, ქეთევან ჭკუასელი დაინტერესდა ითვალისწინებდა თუ არა ეზოს დაწესებულება. დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით, ეზოში იყო ადგილი სპორტული დარბაზისთვის და სკოლას ჰქონდა გეგმაში სპორტული დარბაზის აშენება მომავალში.

1.2 სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა იმ კატეგორიისთვის, რომლებიც საჭიროებენ ეტლით გადაადგილებას სასწავლო პროცესში შეუფერხებელი ჩართვის მიზნით სკოლა-გიმნაზიის შესასვლელში იყო ფართო ბეტონის ასასვლელი პანდუსი. ექსპერტთა ჯგუფის დაწესებულებაში ვიზიტის პერიოდში პირველ სართულზე განთავსებულ ოთახში (ფართით დაახლოებით 7 კვ.მ.), მიმდინარეობდა სარემონტო სამუშაოები, მონტაჟდებოდა ადაპტირებული სველი წერტილი და მეორე სართულზე ასასვლელი ხის პანდუსი. დაწესებულებამ საბჭოს სხდომაზე წარმოადგინა დისკი, რომელზეც ვიდეო იყო ჩაწერილი და ასახული იყო პანდუსის მშენებლობის მიმდინარეობა.

2. ადამიანურ რესურსთან მიმართებით:

2.1 ვიზიტის დროს ჩატარდა გასაუბრებები სკოლის მომავალ პედაგოგებთან. უმრავლესობა მათგანი დასაქმებული იყო სხვადასხვა საჯარო და კერძო სკოლებში და ადასტურებდნენ მზადყოფნას, გადმოსულიყვნენ სკოლა-გიმნაზიაში ავტორიზაციის მინიჭების შემთხვევაში. ყველა პედაგოგი ჩართული იყო სქემაში და ასევე წარმოდგენილი ჰქონდათ თემატური გეგმები.

საბჭოს თავმჯდომარე ირინა აბულაძე დაინტერესდა, იმუშავებდნენ თუ არა აღნიშნული სკოლის მასწავლებლები პარალელურად საჯარო სკოლებშიც. ექსპერტებმა განაცხადეს, რომ როგორც დასკვნაში იყო ასახული და გამოიკვეთა ინტერვიურებითაც, პედაგოგები სრული დატვირთვით იმუშავებენ სკოლა-გიმნაზიაში. სკოლას მთლიანობაში ეყოლებოდა 13 პედაგოგი, აქედან 3 სერტიფიცირებული მასწავლებელი.

სკოლაში იყო 90 ინდივიდუალური მერხი, ოთახები ბუნებრივი განათებით, 5 პერსონალური კომპიუტერი და 1 ნოუთბუქი. სკოლის შენობა გათვლილი იყო 90 მოსწავლის მისაღებად. ასევე პირველ სართულზე რემონტდებოდა ოთახი სპეციალური საჭიროების მქონე მოსწავლისთვის გაკვეთილების ჩატარების მიზნით.

საბჭოს წევრი, ხათუნა ბარაბაძე, დაინტერესდა ჰქონდა თუ არა სკოლას საშუალება მეორე და მესამე სართულზე პანდუსის გაკეთების. ექსპერტის განცხადებით, აღნიშნული პანდუსები მხოლოდ ფორმალურ ხასიათს ატარებდა უმრავლეს დაწესებულებებში.

საბჭოს თავმჯდომარემ, ირინა აბულაძემ კიდევ ერთხელ გაამახვილა ყურადღება სპორტდარბაზზე. ხელშეკრულება სკოლას ჰქონდა გაფორმებული ერთი წლის ვადით. საბჭოს თავმჯდომარემ შესთავაზა ცენტრს 2017/2018 სასწავლო წლის დაწყებამდე გადამოწმებულიყო დაწესებულების მატერიალური რესურსი მონიტორინგის ვიზიტის ფარგლებში და შემოწმებულიყო, რამდენად აკმაყოფილებდა დაწესებულება მატერიალური რესურსის ავტორიზაციის სტანდარტს.

თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაწესებულებას, წარმოედგინა შუამდგომლობა რამდენი მოსწავლისათვის შეეძლო სათანადო საგანმანათლებლო გარემოს შექმნა. დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ შესაბამისი საგანმანათლებლო გარემოს შექმნა შეეძლო 90 მოსწავლისათვის. აღნიშნული შუამდგომლობა გაიზიარეს ავტორიზაციის ექსპერტებმაც.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ - ქ. ბაღდათის წმ. კეთილმსახური მეფე თამარის სახელობის მართმადიდებელი სკოლა-გიმნაზიისთვის ავტორიზაციის მინიჭებისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 90-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 7
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის 99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 24-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის შესაბამისად, ა(ა)იპ - ქ. ბაღდათის წმ. კეთილმსახური მეფე თამარის სახელობის მართმადიდებელ სკოლა-გიმნაზიას (ს/კ: 425053434) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი დაწყებითი საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მიზნით და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 90-ით.

დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა საკითხის განხილვის შემდეგ სხდომა 17:00 საათზე დახურულად გამოცხადდა.

თავმჯდომარე
ირინა აბულაძე

მდივანი
თამარ ფხალაძე